

სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ანდეზიტი-ციხიჯვარის წყალმომარაგების ქსელის
ნაწილობრივი სარეაბილიტაციოსამუშაოების განმარტებითი ბარათი

სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ანდეზიტი-ციხიჯვარის წყალმომარაგების ქსელის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთით ხელშეკრულების #127. 24 აპრილი 2018წელი, დამუშავებული პროექტის მუშა ნახაზების საფუძველზე, რესურსული მეთოდით, საქართველოში მოქმედი „სამშენებლო ნორმების და წესების“ მიხედვით, მშენებლობის შემფასებელთა კავშირის მიერ გამოცემულისამშენებლო რესურსების ფასებით, 2018 წლის II კვარტალის დონეზე.

სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ანდეზიტი-ციხიჯვარის წყალმომარაგების ქსელის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია არსებული ქსელის 514მ სიგრძის მონაკვეთის რეაბილიტაცია მოსახლეობისთვის 5,0მ სიგრძის მიერთებებით, მათ შორის სამი ოჯახისთვის მონაკვეთით 60მ მილის დიამეტრით დ=40მმ და თორმეტი ოჯახისთვის მონაკვეთით 454მ მილის დიამეტრით დ=110მმ.

საპროექტო დოკუმენტაციით წყალმომარაგების პროექტით გათვალისწინებულია:

1. III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით
2. ქვიშის ბალიშის მოწყობას მილების ქვეშ და ზემოდან სისქით 10სმ (ჯამურად 20სმ)
3. ღორღის ფენილის მოწყობას სისქით 10სმ საპროექტო ჭების ქვეშ
4. გრუნტის უკუჩაყრას ხელით
5. გრუნტის დატვირთვას ხელით ავტომანქანაზე და გატანას
6. სამი საპროექტო ჭის მოწყობას. მათ შორის
 - ერთი მონოლითური მართკუთხა ჭა (ჭა#1) ზომებით 3,4*2,4მ, სიმაღლით 1,5მ, ჩასასვლელი კიბით. მონოლითურ გადახურვაში გათვალისწინებულია ორი თუჯის ხუფის მართკუთხა ჩარჩოთი 90*90სმ მოწყობა
 - ერთი ასაწყობი რკინა ბეტონის ჭა (ჭა#2) დიამეტრით 1,5მ, სიმაღლით 1,0მ
 - ერთი ასაწყობი რკინაბეტონის ჭა (ჭა#3) დიამეტრით 1,0მ, სიმაღლით 1,0მ
7. წყალსადენის მოწყობას პოლიეთილენის მილებით დ=40*3,7მმ PN-16 (შავი) სიგრძით 60,0მ
8. წყალსადენის მოწყობას პოლიეთილენის მილებით დ=110*10მმ PN-16 (შავი) სიგრძით 454,0მ
9. მიერთებების მოწყობას პოლიეთილენის მილებით დ=20*1,8მმ PN-16 (შავი) სიგრძით 5,0მ და ვენტილებით დ=20მმ
10. ჭაში #3 დამცლელის მოწყობას დ=25*2,3მმ PN-16 (შავი) სიგრძით 5,0მ, ვენტილით დ=25მმ

11. საპროექტო ჭებში თუჯის ურდულების მოწყობა

12. შეჭრა არსებულ დ=200მმ ლითონის ქსელში და მიერთების მოწყობა

სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულების დასადგენად ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგება განისაზღვრა „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55 დადგენილების საფუძველზე.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულია მასალების ტრანსპორტირების ხარჯი მასალების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულია გაუთვალისწინებელი ხარჯი 5%-ის ოდენობით პირდაპირი ხარჯების, ზედნადები ხარჯების, გეგმიური მოგების და მასალათა ტრანსპორტირების ხარჯების ჯამიდან.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი ღირებულების გადასახადი 18%-ის ოდენობით.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულია შესრულებული სამუშაოების საექსპერტო მომსახურების ხარჯები 2,2%-ის ოდენობით.

ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის რეკომენდაცია სავალდებულოა.

შ.პ.ს. "მესხმშენპროექტი"-ს დირექტორი

/ვ. ხითარიშვილი/